

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ოქმი №28

ქ. თბილისი

2018 წელი, 25 სექტემბერი, 12:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

რევაზ სოხაძე, გიორგი ტყემალაძე, თევდორე ისაკაძე, ბექა დავითულიანი, დავით უთმელიძე, გოჩა თევდორაძე, ნიკოლოზ ვაჩიშვილი, დავით უჯმაჯურიძე,
სხდომას თავმჯდომარეობდა: რევაზ სოხაძე

სხდომას არ ესწრებოდა: ვახტანგ შაქარიშვილი, გიორგი გაბაშვილი

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

გიორგი ბაგრატიონი - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსი

გვანცა ნიკოლაიშვილი - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე

ეკა ცეცხლაძე - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი

მარიამ თავაძე - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი

დღის წესრიგი:

1. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

(#12-031825524-03)

- (1) ქალაქ თბილისში, სოფელი თხინვალაში, „თელების მიწა“-ზე (საკადასტრო კოდი: 72.16.15.953 ცვლილების ფართობი: 752კვ.მ) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

(#12-03182611-03)

- (2) ქ.თბილისში, ვარკეთილის დასახლება 3, IV მ-რ-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: 01.19.36.014.713; 01.19.36.014.714; 01.19.36.014.716; 01.19.36.014.718; 01.19.36.014.722; 01.19.36.014.723; 01.19.36.014.724 ცვლილების ფართობი: 377983,1კვ.მ) მოთხოვა ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად
- (3) შესაბამისად ქ.თბილისში, ვარკეთილის დასახლება 3, IV მ-რ-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ნაკვეთი 14/30) (საკადასტრო კოდი: 01.19.37.012.008; 01.19.37.012.009; 01.19.37.012.010; 01.19.37.012.011; 01.19.37.012.012; 01.19.37.012.013; 01.19.37.012.014; 01.19.37.012.015; 01.19.37.012.016; 01.19.37.012.017; 01.19.37.012.018; 01.19.37.012.019; 01.19.37.012.020; 01.19.37.012.021; 01.19.37.012.022; ცვლილების ფართობი: 388679,1კვ.მ); მოთხოვა ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად;
- (4) ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.19.24.003.055; ფართობი: 867 კვ.მ) სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება
- (5) ქალაქ თბილისში, სანერგის ქუჩა, N6ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.12.13.012.065; ფართობი: 5,2 კვ.მ) ნაწილზე. სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება.
- (6) ქალაქ თბილისში, ჭიჭინაძის ჩიხი I, N13-ის (ს/კ: 01.19.23.021.039) მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ მიწის ნაკვეთის ნაწილზე საცხოვრებელი ზონის (სზ) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება (ცვლილების ფართობი: 103კვ.მ).

(#12-03182626-03)

- (7) ქალაქ თბილისში, იმერეთის ქუჩა N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.12.13.012.018) ნაწილზე (ფართობი: 24 კვ.მ) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება.
- (8) ქალაქ თბილისში, ცაიშის ქუჩაზე არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.16.08.009.042) ნაწილზე (ფართობი: 765 კვ.მ) მოთხოვნილია ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) სპეციალური ზონა 2-ით (სპეცზ-2) ცვლილება.

2. „ქალაქ თბილისში, ვაშლიჯვრის დასახლებაში, მარშალ გელოვანის გამზირი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.10.025.070, N01.10.10.025.071, N01.10.10.025.069, N01.10.10.025.086), ქალაქ თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, რესტორან

„ვენეციას“-სთან (ნაკვ. 25/45, საკადასტრო კოდი: N01.10.10.025.045), ქალაქ თბილისში, მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე არსებული ავტოტექნომსახურების სადგურის მიმდებარედ (ნაკვეთის წინა N25/9, საკადასტრო კოდი: N01.10.10.025.023, ნაკვეთი N25/36, საკადასტრო კოდი: N01.10.10.025.036) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (#12-0318254204-03)

3. ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.18.006.218, ნაკვ. N01/010) მრავალფუნქციური კომპლექსის („თი-ბი-სი“ სათაო ოფისი, რესტორანი, კაფე, სპორტული დარბაზები, სპა, საცურაო აუზი და ა.შ) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალების დამტკიცების თაობაზე (#12-031826082-03)
4. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.14.17.001.184, №01.14.17.001.185, №01.10.18.006.134, №01.10.18.006.133) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (#12-03182612-03)
5. ქალაქ თბილისში, სოფელ დიდ ლილოში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.08.07.534) აეროსადგურის (შვეულმფრენების ცენტრი) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალების დამტკიცების თაობაზე (#12-031826310-03)
6. ქალაქ თბილისში, გლდანი, I მ/რ, კარტოგრაფიული ფაბრიკის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი, ფორე მოსულიშვილის ქუჩა N 1 / ქალაქი თბილისი, გლდანი I მიკრო/რაიონი, კარტოგრაფიული ფაბრიკის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: N01.11.12.015.174) და ქალაქ თბილისში, ფორე მოსულიშვილის ქუჩა N1-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: N01.11.12.015.130) არსებულ მიწის ნაკვეთებზე, განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე (#12-031826312-03)
7. ქალაქ თბილისში, სოფელი თხინვალა, თელეების მიწა/ქალაქი თბილისი, თელეების მიწა/ქალაქი თბილისი, სოფელ თხინვალაში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N72.16.23.723, N72.16.23.724, N72.16.23.725, N72.16.15.615, N72.16.15.614, N72.16.23.711, N72.16.23.712, N72.16.23.713, N72.16.23.714) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალების დამტკიცების თაობაზე (#11-031826450-03)

8. „ქ. თბილისი, სოფელი აგარაკის დასავლეთით არსებულ მიწის ნაკვეთებზე: (საკადასტრო კოდები 72.16.09.770, 72.16.09.319, 72.16.09.320, 72.16.09.771, 72.16.09.856, 72.16.09.855, 72.16.09.854, 72.16.09.788, 72.16.09.853; ფართობი 8250 კვ.მ.) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე (#12-031816250-03)
9. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ნუცუბიძის ქუჩასა და ინტენსიფიკაციის გზას შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.15.001.189) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (#04/729)
10. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-58 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით (#12-031825384-03)
11. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით (#12-031825384-03)
12. „მშენებლობის (განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის გარდა) სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლუატაციაში მიღების) თაობაზე აქტის გამოცემის (მასში ცვლილების შეტანის) დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებლის გადახდის წესის და ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით (#12-031825384-03)
13. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით (#12-031825384-03)
14. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით (#12-031825384-03)

15. „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 251 მუხლით გათვალისწინებული მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების მოსაკრებლის შემოღების, მოსაკრებლის გადახდის წესის და ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით (#12-031825384-03)
16. „გარე რეკლამის განთავსების ნებართვით გათვალისწინებული ნაგებობების განთავსება/ მშენებლობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით (#12-031825384-03)
17. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უნებართვო გარე ვაჭრობის ფაქტების აღკვეთისას სამართალდარღვევის საგნის (საქონლის) კონფისკაციის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 8 მაისის N9-38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით (#12-031825384-03)
18. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით (12-031825384-03; 12-031826440-03)

კომისიის თავმჯდომარე ბატონი რევაზ სოხაძე მიესალმა კომისიის წევრებს და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ დღის წესრიგი დაამტკიცა.

1. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

(#12-031825524-03)

1. ქალაქ თბილისში, სოფელი თხინვალაში, „თელების მიწა“-ზე (საკადასტრო კოდი: 72.16.15.953 ცვლილების ფართობი: 752კვ.მ) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

(#12-03182611-03)

2. ქ.თბილისში, ვარკეთილის დასახლება 3, IV მ-რ-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: 01.19.36.014.713; 01.19.36.014.714; 01.19.36.014.716; 01.19.36.014.718; 01.19.36.014.722; 01.19.36.014.723; 01.19.36.014.724 ცვლილების ფართობი: 377983,1კვ.მ) მოთხოვა ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად
3. შესაბამისად ქ.თბილისში, ვარკეთილის დასახლება 3, IV მ-რ-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ნაკვეთი 14/30) (საკადასტრო კოდი: 01.19.37.012.008; 01.19.37.012.009; 01.19.37.012.010; 01.19.37.012.011; 01.19.37.012.012; 01.19.37.012.013; 01.19.37.012.014; 01.19.37.012.015; 01.19.37.012.016; 01.19.37.012.017; 01.19.37.012.018; 01.19.37.012.019; 01.19.37.012.020; 01.19.37.012.021; 01.19.37.012.022; ცვლილების ფართობი: 388679,1კვ.მ); მოთხოვა ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად;
4. ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.19.24.003.055; ფართობი: 867 კვ.მ) სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება;
5. ქალაქ თბილისში, სანერგის ქუჩა, N6ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.12.13.012.065; ფართობი: 5,2 კვ.მ) ნაწილზე. სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება.
6. ქალაქ თბილისში, ჭიჭინაძის ჩიხი I, N13-ის (ს/კ: 01.19.23.021.039) მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ მიწის ნაკვეთის ნაწილზე საცხოვრებელი ზონის (სზ) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება (ცვლილების ფართობი: 103კვ.მ).

(#12-03182626-03)

7. ქალაქ თბილისში, იმერეთის ქუჩა N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.12.13.012.018) ნაწილზე (ფართობი: 24 კვ.მ) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება.
8. ქალაქ თბილისში, ცაიშის ქუჩაზე არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.16.08.009.042) ნაწილზე (ფართობი: 765 კვ.მ) მოთხოვნილია ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) სპეციალური ზონა 2-ით (სპეცზ-2) ცვლილება.

კომისიამ განიხილა ქალაქ თბილისის მერის მიერ ა/წლის 12 სექტემბრის #12-031825524-03, 18 სექტემბრის #12-03182611-03 და 19 სექტემბრის #12-03182626-03 წერილებით წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტები „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში

ცვლილების შეტანის თაობაზე“. საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა ქალბატონმა ეკა ცეცხლაძემ მისი თქმით, წარმოდგენილი წერილებით, მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმის გრაფიკულ ნაწილში-რუკაში, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული ხასიათის ფუნქციური ზონის ცვლილების 8 წინადადება, კერძოდ:

- 1) ქალაქ თბილისში, სოფელი თხინვალაში, „თელების მიწა“-ზე (საკადასტრო კოდი: 72.16.15.953 ცვლილების ფართობი: 752კვ.მ) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1)სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება. ვინაიდან, აღნიშნულ საკადასტრო ერთეულზე „ქ. თბილისში, სოფელი თხინვალაში, „თელების მიწა“-ზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.16.15.760) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 ივლისის №157 განკარგულება ადგენს საპროექტო ტერიტორიაზე ფუნქციურ ზონებს და მისი განვითარების სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას, ამავე განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, ქალაქი თბილისში, სოფელი თხინვალაში, „თელების მიწა“-ზე (საკადასტრო კოდი: 72.16.15.953 ცვლილების ფართობი: 752კვ.მ) საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1)სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია
- 2) ქ. თბილისში, ვარკეთილის დასახლება 3, IV მ-რ-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტროკოდი: N01.19.36.014.713; N01.19.36.014.714; N01.19.36.014.716; N01.19.36.014.718; N01.19.36.014.722; N01.19.36.014.723; N01.19.36.014.724; საერთო ფართობი: 377983,1კვ.მ) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. ვინაიდან, აღნიშნულ საკადასტრო ერთეულზე „ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ხეხილ-სანერგე მეურნეობაში, ვარკეთილის დასახლება 3, IV მ-რ-ის მიმდებარედ, ვარკეთილსა და თბილისის ზღვას შორის არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტროკოდი: N81.21.03.030; 01.19.36.014.452; 81.21.03.024; 01.19.36.014.449; 81.21.03.027; 81.21.03.025; 81.21.03.029; 01.19.36.014.453; 01.19.36.014.454; 01.19.36.014.455; 01.19.36.014.456; 01.19.36.014.457; 01.19.36.014.525; 01.19.36.014.526; 81.21.03.031) საცხოვრებელი რაიონის (საცხოვრებელი უბნები, საზოგადოებრივ-საქმიანი ცენტრები, სავაჭრო და სარეკრეაციო ცენტრები, მისი ფუნქციონირებისთვის საჭირო სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტები) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმებისშესახებ“ ქალაქთბილისისმერიის 2013 წლის 9 ოქტომბრის №2151 განკარგულება ადგენს საპროექტო ტერიტორიაზე ფუნქციურ ზონებს და მისი განვითარების სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას, ამავე განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, ქ.თბილისში, ვარკეთილის დასახლება 3, IV მ-რ-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.19.36.014.713;

N01.19.36.014.714; N01.19.36.014.716; N01.19.36.014.718; N01.19.36.014.722; N01.19.36.014.723; N01.19.36.014.724; ცვლილების ფართობი: 377983,1 კვ.მ) განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად ფუნქციური ზონის ცვლილება მისაღება;

3) ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლება 3, IV მ-რ-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტროკოდი: N01.19.37.012.008;N01.19.37.012.009; N01.19.37.012.010; N01.19.37.012.011; N01.19.37.012.012; N01.19.37.012.013; N01.19.37.012.014; N01.19.37.012.015; N01.19.37.012.016; N01.19.37.012.017; N01.19.37.012.018; N01.19.37.012.019; N01.19.37.012.020; N01.19.37.012.021; N01.19.37.012.022, ცვლილების ფართობი: 388679,1კვ.მ) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. ვინაიდან, აღნიშნულ საკადასტრო ერთეულზე „ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ხეხილ-სანერგე მეურნეობაში, ვარკეთილის დასახლება 3, IVმ-რ-ის მიმდებარედ, ვარკეთილსა და თბილისის ზღვას შორის არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N81.21.03.030; 01.19.36.014.452; 81.21.03.024; 01.19.36.014.449; 81.21.03.027; 81.21.03.025; 81.21.03.029; 01.19.36.014.453; 01.19.36.014.454; 01.19.36.014.455; 01.19.36.014.456; 01.19.36.014.457; 01.19.36.014.525; 01.19.36.014.526; 81.21.03.031) საცხოვრებელი რაიონის (საცხოვრებელი უბნები, საზოგადოებრივ-საქმიანი ცენტრები, სავაჭრო და სარეკრეაციო ცენტრები, მისი ფუნქციონირებისთვის საჭირო სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტები) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 9 ოქტომბრის №2151 განკარგულება ადგენს საპროექტო ტერიტორიაზე ფუნქციურ ზონებს და მისი განვითარების სხვასა ჭირო ინფრასტრუქტურას, ამავე განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, ქ.თბილისში, ვარკეთილის დასახლება 3, IV მ-რ-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.19.37.012.008;N01.19.37.012.010; N01.19.37.012.011; N01.19.37.012.012; N01.19.37.012.013; N01.19.37.012.014; N01.19.37.012.015; N01.19.37.012.016; N01.19.37.012.017; N01.19.37.012.018; N01.19.37.012.019; N01.19.37.012.020; N01.19.37.012.021;N01.19.37.012.022; ცვლილების ფართობი: 388679,1კვ.მ) განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად ფუნქციური ზონის ცვლილება მისაღება;

4) ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.24.003.055; ფართობი: 867 კვ.მ) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება. დღეის მდგომარეობით დაინტერესებაში მყოფი მიწის ნაკვეთის გარკვეული მონაკვეთი განთავსებულია სამრეწველო ზონა 2-ში და ის უშუალოდ წარმოადგენს სამრეწველო ზონის შემადგენელ-განუყოფელ სივრცით ნაწილს, ისევე როგორც მიმდებარედ/ მომიჯნავედ არსებული მიწის ნაკვეთები (ს/კN01.19.24.003.005;

N01.19.24.003.047; N01.19.24.003.022). აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დასახელებული მიწის ნაკვეთი წარმოადგენს ყოფილი სავაჭრო შემზღვეველი ბაზის ტერიტორიულ განუყოფელ სივრცეს და ამჟამად ეს უკანასკნელი მოიცავს შენობა-ნაგებობის წერტილოვანი ფუნდამენტებით დაკავებულ ტერიტორიას. ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, (საკადასტრო კოდი: N01.19.24.003.055; ფართობი: 867 კვ.მ) სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება მისაღებია. ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურსა და ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ შორის 2015 წლის 15 ოქტომბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №020 ხელშეკრულებით შემოთავაზებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე და მის მიმდებარე არეალზე განსაზღვრულია სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) რეჟიმი.

- 5) ქალაქ თბილისში, სანერგის ქუჩა, N6ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.12.13.012.065; ფართობი: 5,2 კვ.მ) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება. დედაქალაქის გენერალური გეგმის შესაბამისად, წარმოდგენილ მიწის ნაკვეთებზე სატრანსპორტო ზონა 1-ის არსებობა წარმოადგენს მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში არსებულ ხარვეზს, რეალურად სატრანსპორტო ზონა ვრცელდება საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთსა და მასზე არსებულ შენობა-ნაგებობაზე. შესაბამისად, ფუნქციური ზონის ცვლილებით მოხდება არსებული ხარვეზის გასწორება და შესაბამისობაში მოყვანა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.13.012.065; ფართობი: 5,2 კვ.მ) ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება მისაღებია.
- 6) ქალაქ თბილისში, ჭიჭინაძის ჩიხი I, N13-ის (საკადასტრო კოდი: N01.19.23.021.039) მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ მიწის ნაკვეთის ნაწილზე საცხოვრებელი ზონის (სზ) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება. დედაქალაქის გენერალური გეგმის შესაბამისად, წარმოდგენილ მიწის ნაკვეთებზე ზონის არსებობა წარმოადგენს მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში არსებულ ხარვეზს, რეალურად საცხოვრებელი ზონა ვრცელდება უკვე არსებულ საავტომობილო გზაზე. შესაბამისად, ფუნქციური ზონის ცვლილებით მოხდება არსებული ხარვეზის გასწორება და შესაბამისობაში მოყვანა, ასევე განმცხადებელმა ადმინისტრაციული წარმოების პროცესში წარმოადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს #QN1623590 გადაწყვეტილება, რომლითაც ქონების მართვის სააგენტო არ არის თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ზონის ცვლილების წინააღმდეგი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, ჭიჭინაძის ჩიხი I, N13-ის (საკადასტრო კოდი: N01.19.23.021.039) მიმდებარედ არსებულ

დაურეგისტრირებელ მიწის ნაკვეთის ნაწილზე საცხოვრებელი ზონის (სზ) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია.

- 7) ქალაქ თბილისში, იმერეთის ქუჩა N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.12.13.012.018) ნაწილზე (ფართობი: 24 კვ.მ) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება. აღნიშნული ტერიტორია მდებარეობს საკადასტრო საზღვრებში და განთავსებულია შენობა-ნაგებობა, შესაბამისად სატრანსპორტო ზონის გავრცელება ტერიტორიაზე არის მოქმედი მიწათსარგებლობის გეერალური გეგმის გრაფიკული რუკის ხარვეზი. ვინაიდან მოთხოვნილი მიწის ნაკვეთი მიმდებარე ტერიტორია მდებარეობს ზოგად საცხოვრებელ ზონაში (სზ) ქალაქ თბილისში, იმერეთის ქუჩა N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.12.13.012.018) ნაწილზე (ფართობი: 24 კვ.მ) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ზოგადსაცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება მისაღებია.
- 8) ქალაქ თბილისში, ცაიშის ქუჩაზე არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.16.08.009.042) ნაწილზე (ფართობი: 765 კვ.მ) მოთხოვნილია ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) სპეციალური ზონა 2-ით (სპეცზ-2) ცვლილება. აღნიშნული ტერიტორია წარმოადგენს მუნიციპალურ საკუთრებას და უშუალოდ ემიჯნება არსებულ სასაფლაოს, ასევე, ნაწილობრივ საფლავები უკვე გადმოსულია ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონაში; მიწის ნაკვეთი უშუალოდ ემიჯნება დენდროლოგიურ პარკს და საკითხის უკეთ გარკვევის მიზნით, ფუნქციური ზონის ცვლილების განხილვა გადადებულ იქნა დამატებითი შესწავლის მიზნით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ საკრებულოს დადგენილების პროექტები „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის 8 წინადადება ზ/აღნიშნული შენიშვნის გათვალისწინებით გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

2. „ქალაქ თბილისში, ვაშლიჯვრის დასახლებაში, მარშალ გელოვანის გამზირი N1-ში (საკადასტრო კოდი; N01.10.10.025.070, N01.10.10.025.071, N01.10.10.025.069, N01.10.10.025.086), ქალაქ თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, რესტორან „ვენეციას“-სთან (ნაკვ. 25/45, საკადასტრო კოდი: N01.10.10.025.045), ქალაქ თბილისში, მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე არსებული ავტოტექნომსახურების სადგურის მიმდებარედ (ნაკვეთის წინა N25/9, საკადასტრო კოდი: N01.10.10.025.023, ნაკვეთი N25/36, საკადასტრო კოდი: N01.10.10.025.036)

განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (#12-0318254204-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა გვანცა ნიკოლაიშვილმა. მისი თქმით, განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტი (№12-0318254204-03. 11.09.2018წ) დამუშავებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ შესაბამისად.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს 2018 წლის 1 აგვისტოს N01182133123-67 განცხადებით მიმართა ირაკლი ბურდილაძემ (პ/ნ 01025006212) ქალაქ თბილისში, დასახლება ვაშლიჯვარი, მარშალ გელოვანის გამზირი, N1 (საკადასტრო კოდი: N01.10.10.025.070); ქალაქ თბილისში, დასახლება ვაშლიჯვარი, მარშალ გელოვანის გამზირი, N1 (საკადასტრო კოდი: N01.10.10.025.071), ქალაქ თბილისში, დასახლება ვაშლიჯვარი, მარშალ გელოვანის გამზირი, N1 (საკადასტრო კოდი: N01.10.10.025.069); ქალაქ თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, რესტორან "ვენეცია"-სთან, (ნაკვ. 25/45, საკადასტრო კოდი: N01.10.10.025.045); ქალაქ თბილისში, მდ.მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე არსებული ავტოტექნომსახურების სადგურის მიმდებარედ (ნაკვეთის წინა N25/9, საკადასტრო კოდი N01.10.10.025.023); ქალაქ თბილისში, მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპირო, ავტოტექნომსახურების სადგურის მიმდებარედ, (ნაკვეთი N25/36, საკადასტრო კოდი: N01.10.10.025.036); ქალაქ თბილისში, დასახლება ვაშლიჯვარი, მარშალ გელოვანის გამზირი, N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.10.025.086) მდებარე მიწის ნაკვეთებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების მოთხოვნით.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, დასახლება ვაშლიჯვარში, მარშალ გელოვანის გამზირი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.10.025.070, N01.10.10.025.071, N01.10.10.025.069, N01.10.10.025.045, N01.10.10.025.023, N01.10.10.025.036, N01.10.10.025.086) არსებულ მიწის ნაკვეთებზე. საპროექტო ტერიტორიის მთლიანი ფართობი შეადგენს 114 513 კვ.მ-ს (11,4 ჰა). „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6), საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2 (სსზ-2), სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) და სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურსა და ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ შორის 2015

წლის 15 ოქტომბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №020 ხელშეკრულებით შემოთავაზებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებული პროექტის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2, ხოლო მცირე ნაწილზე - საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6); საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს გაუნაშენიანებელ ტერიტორიას, რომელსაც ორი მხრიდან ესაზღვრება საქალაქო მნიშვნელობის გზები - მარშალ გელოვანის გამზირი და ა. ბაქრაძის ქუჩა. ხოლო ჩრდილოეთით ესაზღვრება მდინარე დიღმის წყალი და გადაღმა განაშენიანებული დიღმის მასივის კვარტლური დასახლება. საპროექტოდ წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების მიზანია გაუნაშენიანებელი ტერიტორიის განაშენიანება მრავალფუნქციური, „თვითკმარი“ საცხოვრებელი კომპლექსის მოწყობის გზით, რომელიც ითვალისწინებს საცხოვრებელი, სასტუმრო, საგანმანათლებლო, სპორტულ-გამაჯანსაღებელი და კომერციული - საოფისე ფუნქციით განვითარებას.

N01182133123-67 განცხადებაზე წარმოდგენილი პროექტით შემოთავაზებული წინადადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორია ვითარდება საზოგადოებრივ - საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2), საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6), სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) პარამეტრებითა და პირობებით. საპროექტო მოცულობების მთლიანი ჯამური ფართობი შეადგენს 253733 კვ. მ, აქედან საცხოვრებელია 188 200 (3000 ბინა).

აღსანიშნავია, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის რეკომენდაციების გათვალისწინებით, თავდაპირველად წარმოდგენილ საპროექტო წინადადებასთან შედარებით, გაიზარდა პარკისთვის განკუთვნილი ფართობი 5645 კვ.მ-დან 13000კვ.მ-მდე. ასევე გაზრდილია სკოლამდელი აღსაზრდელებისა და სკოლის მოსწავლეების რაოდენობა, კერძოდ, საბავშვო ბაღი გათვლილია 100 აღსაზრდელის ნაცვლად 150 ბავშვზე, ხოლო სკოლის მოსწავლეთა რაოდენობა გაზრდილია 500-დან 600 მოსწავლემდე. აგრეთვე, შემცირებულია თავდაპირველად დაგეგმილი განაშენიანების ინტენსივობის მაჩვენებლები სხვადასხვა სექტორში.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 2018 წლის 29 აგვისტოს N16-01182412675 წერილის თანახმად, განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების ეტაპზე გასათვალისწინებელია საფეხმავლო მისაწვდომობა (კარგად შეკავშირებული საფეხმავლო ქსელი, პირდაპირი, მოკლე და უსაფრთხო კავშირების უზრუნველყოფა საპროექტო ტერიტორიაზე გელოვანის გამზირზე განლაგებულ საზოგადოებრივ გაჩერებებთან, პირდაპირი, მოკლე და უსაფრთხო კავშირის უზრუნველყოფა საპროექტო ტერიტორიაზე განლაგებულ შენობებს შორის, განსაკუთრებით საცხოვრებელ შენობებსა და სკოლა/ბაღს შორის), საპროექტო ტერიტორიის საგზაო კავშირის მოწყობამ მიმდებარე ქუჩებთან ერთ

დონეზე და საპროექტო ტერიტორიიდან მარცხენა სანაპიროზე საფეხმავლო ხიდისთვის ტერიტორიის შერჩევა და სატრანსპორტო ფუნქციური ზონის მინიჭება.

ამავე წერილის თანახმად, საზოგადოებრივ ტრანსპორტზე წვდომის გაუმჯობესების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის მხრიდან შემოთავაზებულია, საპროექტო ტერიტორიიდან მარცხენა სანაპიროსთან დამაკავშირებელი საქვეითე და საველოსიპედე ხიდის მოწყობა, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს მ/ დიდუბესთან წვდომას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2018 წლის 5 ივლისის N18-01181862732 წერილის თანახმად, განაშენიანების რეგულირების გეგმის წარმოდგენილი პროექტის თემატური ნაწილი მოიცავს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების მე-8 მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრულ სარეკრეაციო ტერიტორიების სისტემას (გამწვანების პროექტის ჩათვლით), რომლის მიმართაც სამსახურს შენიშვნა არ გააჩნია. ამასთან, სამსახური უპირატესობას ანიჭებს ხეების დარგვას ბუჩქებთან და გაზონთან მიმართებით. ამდენად, გასამწვანებელი მცენარეების რაოდენობა უნდა განისაზღვროს: 1 ძირი-10-12 კვ. მეტრი კვიპაროსის სახეობისთვის, ხოლო 20-22 კვ. მეტრი დანარჩენი წიწვოვანის და ასევე ფოთლოვანი ხეებისთვის, ხოლო, დასარგავი ხე-მცენარეების სახეობა უნდა აირჩეს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის #05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, გარემოზე ზემოქმედების შეფასება არის შესაბამის კვლევებზე დაყრდნობით, გარემოზე შესაძლო ზემოქმედების გამოვლენისა და შესწავლის პროცედურა იმ დაგეგმილი საქმიანობისთვის, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე და რომელიც მიეკუთვნება ამ კოდექსის I დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას და, სკრინინგის გადაწყვეტილების შესაბამისად, ამავე კოდექსის II დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას. გზმ მოიცავს სკოპინგს, გზმ-ის ანგარიშის მომზადებას, საზოგადოების მონაწილეობას, უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოებთან კონსულტაციების გამართვას, მიღებული შედეგების შეფასების საფუძველზე ექსპერტიზის დასკვნის მომზადებას და მის მხედველობაში მიღებას ამ კოდექსით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისას ან/და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიწის ნაკვეთის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების ეტაპზე, წარმოდგენილ უნდა იქნეს სკრინინგის პროცედურის შედეგი და საჭიროების შემთხვევაში გარემოზე ზემოქმედების შეფასება.

N01182133123-67 განცხადებაზე წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების წინასაპროექტო წინადადება მნიშვნელოვანი ინვესტიციაა, რომლის მიხედვითაც საპროექტო ტერიტორიაზე იგეგმება სარეკრეაციო სივრცის კეთილმოწყობა (ტერიტორიის 35% - 40 000 კვ.მ ჯამური გამწვანებული ფართობი), გათვალისწინებულია ტერიტორიის სოციალური, ასევე საინჟინრო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა (პროექტი ითვალისწინებს სკოლისა და საბავშვო ბაღის მშენებლობას, რაც შეამცირებს საპროექტო ტერიტორიიდან ამ დანიშნულებით გადაადგილების საჭიროებას). საპროექტო ტერიტორიაზე ჩნდება ხშირი და მაღალი მოცულობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურების შესაძლებლობა. საოფისე და კომერციული ფუნქციის არსებობა ჩრდილო - დასავლეთის უბნებისთვის გააჩენს დასაქმების ახალ წყაროს, ასევე, ცენტრალური უბნების გარეთ შეამცირებს სატრანსპორტო ნაკადების მიზიდულობას ცენტრალური უბნებისკენ, რაც სატრანსპორტო ნაკადების გადათანაბრების პირობაა. ასევე, აღსანიშნავია, რომ საპროექტო წინადადების შესაბამისად, ხორციელდება მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტის (კ-1) მინიმალური ათვისება.

აღინიშნა, რომ მითითებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების საპროექტო არეალი წარმოადგენს ქალაქისათვის სტრატეგიული დანიშნულების მნიშვნელოვან ტერიტორიას, მოთხოვნილი ფუნქციური ზონები წინააღმდეგობაშია ახალი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტით გათვალისწინებულ ზონებთან. ასევე წარმოდგენილი სატრანსპორტო კვლევები არ იძლევა მიმდებარე გზების საცობებისაგან განტვირთვის წინადადებებს, პირიქით დაგეგმილი მშენებლობების განხორციელება გაართულებს სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებას. მნიშვნელოვნად ჩამორჩება ახალ საცხოვრებელ უბანში სკოლებისა და სკოლამდელი აღზრდის ასაშენებელ დაწესებულებებში ადგილების რაოდენობა არსებულ ნორმებსა და სტანდარტებს. არ არის დაგეგმილი მათ ასაშენებლად განკუთვნილი საპროექტო ტერიტორიის მოცულობები. ამის გათვალისწინებით, წარმოდგენილ განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის განხილვა გადადებულ იქნას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს „ქალაქ თბილისში, დასახლება ვაშლიჯვარი, მარშალ გელოვანის გამზირი, N1 (საკადასტრო კოდი: N01.10.10.025.070); ქალაქ თბილისში, დასახლება ვაშლიჯვარი, მარშალ გელოვანის გამზირი, N1 (საკადასტრო კოდი: N01.10.10.025.071), ქალაქ თბილისში, დასახლება ვაშლიჯვარი, მარშალ გელოვანის გამზირი, N1 (საკადასტრო კოდი: N01.10.10.025.069); ქალაქ თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, რესტორან "ვენეცია"-სთან, (ნაკვ. 25/45, საკადასტრო კოდი: N01.10.10.025.045); ქალაქ თბილისში, მდ.მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე არსებული ავტოტექნომსახურების სადგურის მიმდებარედ (ნაკვეთის წინა N25/9, საკადასტრო კოდი N01.10.10.025.023); ქალაქ თბილისში, მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპირო, ავტოტექნომსახურების სადგურის მიმდებარედ, (ნაკვეთი N25/36, საკადასტრო კოდი: N01.10.10.025.036); ქალაქ თბილისში, დასახლება

ვაშლიჯვარი, მარშალ გელოვანის გამზირი, N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.10.025.086) მდებარე მიწის ნაკვეთებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების შესახებ“ სხდომაზე გამოთქმული შენიშვნებით, გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

3. ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: **N01.10.18.006.218**, ნაკვ. **N01/010**) მრავალფუნქციური კომპლექსის („თი-ბი-სი“ სათაო ოფისი, რესტორანი, კაფე, სპორტული დარბაზები, სპა, საცურაო აუზი და ა.შ) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალების დამტკიცების თაობაზე (#12-031826082-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა გვანცა ნიკოლაიშვილმა. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.18.006.218, ნაკვ. N01/010) რომლის ფართობია 86 623 კვ.მ. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.18.006.218, ნაკვ. N01/010) ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3) და ლაღაფტურ - სარეკრეაციო ზონა (ლსზ). იმავე მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის უმეტესი ნაწილი მდებარეობს პერიფერიულ ზონაში (პზ) ხოლო, მცირედი ნაწილი - გეგმარებით კარკასში (გკ). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურსა და ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ შორის 2015 წლის 15 ოქტომბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №020 ხელშეკრულებით შემოთავაზებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტი შესაბამისად, N01.10.18.006.218 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი ხვდება განაშენიანების კონტურის გარეთ.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს მ. მაჭავარიანის ქუჩის ჩრდილო დასავლეთით გაუნაშენიანებელ, გამწვანებულ ლანდშაფტურ ფერდზე, რომლის ირგვლივაც შეთანხმებულია ან/და განხილვის პროცესშია ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმები და ასევე, მიმდინარეობს ინტენსიური მშენებლობა როგორც ინდივიდუალური ასევე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების. ტერიტორიას სამხრეთ დასავლეთით, დაახლოებით 400 მეტრში, ესაზღვრება „112“-ის შენობა, ხოლო ლისის ტბიდან მოშორებულია დაახლოებით 1500 მ-ით. ამასთან,

აღსანიშნავია, რომ საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს ქალაქის მნიშვნელოვან სივრცით ორიენტირს და აღქმადია თითქმის ყველა ცენტრალური უბნიდან.

N01182492813-67 განცხადებაზე წარმოდგენილი საპროექტო წინადადების შესაბამისად, ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.18.006.218, ნაკვ. N01/010) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამუშავების მიზანია ტერიტორიის კეთილმოწყობა და განვითარება სს "თიბისი ბანკის" სათაო ოფისისა და მისი გამართული ფუნქციონირებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურით, ისე რომ მინიმალურად მოხდეს ჩარევა ბუნებრივ გარემოში და შედეგი მაქსიმალურად პოზიტიურად იყოს აღქმადი როგორც საპროექტო და მისი მომიჯნავე ტერიტორიებიდან, ისე ქალაქის ცენტრალური ნაწილიდან.

საპროექტო წინადადება არ ითვალისწინებს არსებული ფუნქციური ზონით დადგენილი მიწის ნაკვეთის განაშენიანების (კ-1) და მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის (კ-2) კოეფიციენტების გადამეტებას. იგეგმება 19 მიწისზედა და 2 მიწისქვეშა სართულის მშენებლობა. დასაგეგმარებელი ტერიტორიის საერთო ფართობია 86 623 კვ.მ, თანამშრომლების სავარაუდო რაოდენობა: 1 500, შენობის მთლიანი ფართობი: 64 500 კვ.მ. აქედან - პარკინგი: 17 450 კვ. მ, დამხმარე - 9 200 კვ.მ. მოშენების ფართობი (კ1) - დაახლოებით 12 000 კვ. მ განაშენიანების ინტენსიურობის ფართობი (კ2) - დაახლოებით 50 000 კვ. მ. გამწვანებული ტერიტორიის ფართობი (კ3) - დაახლოებით 17 325 მ კვ. მ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 2018 წლის 7 სექტემბრის N01182503021 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.18.006.218, ნაკვ. N01/010) მრავალფუნქციური კომპლექსის („თი-ბი-სი“ სათაო ოფისი, რესტორანი, კაფე, სპორტული დარბაზები, სპა, საცურაო აუზი და ა.შ) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის ეტაპზე წარმოდგენილ უნდა იქნას საპროექტო ტერიტორიის მოძრაობის ორგანიზების სქემა მიმდებარე ქუჩებთან კავშირის ჩვენებით და პარამეტრების (მათ შორის ტროტუარის) მითითებით, საპროექტო ტერიტორიის ქუჩათა ქსელის სქემა, შენობის განლაგების, შენობის სამანქანო მისადგომის, სამანქანო შესასვლელის, საქვეითე შესასვლელებისა და მოძრაობის მიმართულების მითითებით, იმ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეთა თანხმობები, რომელთა საკუთრებაზეც გაივლის დაგეგმილი საგზაო ინფრასტრუქტურა. გარდა ამისა, განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების ეტაპზე, წარმოდგენილ უნდა იქნას სს „თი-ბი-სი“ ბანკის სათაო ოფისის თანამშრომელთა სატრანსპორტო მომსახურების გეგმა, რომელიც მოიცავს სპეციალური სატრანსპორტო მომსახურების მარშრუტს, საწყისი გაჩერებების ლოკაციას, მომსახურების გრაფიკს, მომსახურე მანქანების რაოდენობასა და ტევადობას და გადაყვანილი თანამშრომლების რაოდენობას საერთო მგზავრობების მოდალურ განაწილებაში. იმავე წერილის

მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის რეკომენდაციაა შეიქმნას დამგზავრების აპლიკაცია თანამშრომლებისთვის. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2018 წლის 7 სექტემბრის N01182503007 წერილის მიხედვით, N01182492813-67 განცხადებაზე წარმოდგენილ დოკუმენტაცია სრულად მოიცავს დაგეგმილი გამწვანების პროექტის შესახებ ზოგად ინფორმაციას და საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ხე - მცენარეების ხარისხობრივ შეფასებას (ტაქსაციას).

აღსანიშნავია საპროექტო წინადადებით გათვალისწინებული მრავალფუნქციური კომპლექსის ისეთ საქალაქო სარეკრეაციო სივრცესთან სიახლოვე, როგორცაა ლისის ტბაა. საპროექტო წინადადება ითვალისწინებს ტერიტორიის მრავალფუნქციურ განვითარებას, მიწის ნაკვეთის განაშენიანების (კ-1) და მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტების (კ-2) მინიმალურ ათვისებას, ლანდშაფტურ - სარეკრეაციო ზონის მაქსიმალურ შენარჩუნებას და საინჟინრო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფილი თვითკმარი, ენერგოეფექტური და მაღალტექნოლოგიური კომპლექსის არსებობას.

ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.18.006.218 ნაკვ. N01/010) მრავალფუნქციური კომპლექსის („თი-ბი-სი“ სათაო ოფისი, რესტორანი, კაფე, სპორტული დარბაზები, სპა, საცურაო აუზი და ა.შ) განთავსება გამოიწვევს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ქონების ღირებულების გაზრდას და ტერიტორიის რაციონალურ და ეფექტურ განვითარებას. გაუმჯობესდება საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.18.006.218 ნაკვ. N01/010) მრავალფუნქციური კომპლექსის („თი-ბი-სი“ სათაო ოფისი, რესტორანი, კაფე, სპორტული დარბაზები, სპა, საცურაო აუზი და ა.შ) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცება მისაღებია.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.18.006.218, ნაკვ. N01/010) მრავალფუნქციური კომპლექსის („თი-ბი-სი“ სათაო ოფისი, რესტორანი, კაფე, სპორტული დარბაზები, სპა, საცურაო აუზი და ა.შ) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

4. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.14.17.001.184, №01.14.17.001.185, №01.10.18.006.134, №01.10.18.006.133) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პოექტის დამტკიცების თაობაზე (#12-03182612-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა გვანცა ნიკოლაიშვილმა. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონი, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.14.17.001.184, N01.14.17.001.185, N01.10.18.006.134, N01.10.18.006.133) რომელთა ფართობია 47 750კვ.მ.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონი, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.14.17.001.184, N01.14.17.001.185, N01.10.18.006.134, N01.10.18.006.133) ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3) და მცირე ნაწილზე - ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა.

N01.14.17.001.184, N01.14.17.001.185, N01.10.18.006.134, N01.10.18.006.133 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები მდებარეობს ლისის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაახლოებით 800 მეტრის დაშორებით. საპროექტო და მიმდებარე ტერიტორია წარმოადგენს რთულ რელიეფს, აღინიშნება სეზონური მდინარეებისგან ჩამოყალიბებული ხევები. მიმდებარე არეალი დღეის მდგომარეობით ვითარდება საცხოვრებელი ქვეზონებით (სზ-3 და სზ-1). მიმდებარე ტერიტორიაზე აღინიშნება როგორც ექსპლუატაციაში მიღებული საცხოვრებელი შენობა-ნაგებობები, ასევე მშენებარე და შეთანხმებული პროექტები.

საპროექტო ტერიტორიის ქალაქთან კავშირი ხორციელდება უკვე აშენებული და მშენებარე „ლისი ვერანდას“ კომპლექსის გავლით, მაჭავარიანის ქუჩის მეშვეობით, რომელზეც მოხვედრა შესაძლებელია ვაშლიჯვრის მხრიდან. ლისის ტბაზე მისვლა შესაძლებელია ი. ბერიტაშვილისა და ბ. ჟღენტის ქუჩების მეშვეობით.

საპროექტო ტერიტორიაზე აღინიშნება 21 წიწვოვანი და 15 ფართო ფოთლოვანი ხე მცენარე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2018 წლის 7 სექტემბრის N18-01182503005 წერილის მიხედვით, განაშენიანების რეგულირების გეგმის წარმოდგენილი პროექტის თემატური ნაწილი მოიცავს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-8 მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრულ სარეკრეაციო ტერიტორიების სისტემას (გამწვანების პროექტის ჩათვლით). წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით სამსახურს შენიშვნები არ გააჩნია.

ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონი, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.14.17.001.184, N01.14.17.001.185, N01.10.18.006.134, N01.10.18.006.133) „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.17.001.184, 01.14.17.001.185, 01.10.18.006.134, 01.10.18.006.133, საერთო ფართობი: 47750 კვ.მ) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 ივლისის N155 განკარგულებით დამტკიცდა ერთბინიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება.

N01182271246-67 განცხადებაზე წარმოდგენილი საპროექტო წინადადების შესაბამისად, იგეგმება ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განთავსება. ფუნქციური ზონის ცვლილება გათვალისწინებულია დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელი ქვეზონით - საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3) იცვლება საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) (გზის მოწყობის მიზნით). პროექტის მთავარი მიზანია გამწვანებული საცხოვრებელი უბნის შექმნა, სადაც 80% დაეთმობა სარეკრეაციო სივრცეს. აღნიშნულის განსახორციელებლად საპროექტო წინადადებით დადგენილია საპროექტო ზონაში დასაშვებზე დაბალი მიწის ნაკვეთის განაშენიანებისა (კ-1) და მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის (კ-2) კოეფიციენტები: კ-1=0.3; კ-2=0.4.

საპროექტო ტერიტორიის განვითარება ხდება დაბალი ინტენსივობით (საცხოვრებელი ზონა 1-ში (სზ-1) დადგენილზე დაბალი კოეფიციენტებით კ-1=0.3, კ-2=0.4). ტერიტორიის განვითარების კონცეფცია გულისხმობს 80% გამწვანებას. საპროექტო ტერიტორიაზე განაშენიანების მაქსიმალური სიმაღლეა 10 მეტრი, ხოლო სართულიანობა - სამი სრული სართული. არ იგეგმება ტერიტორიის მცირე ნაწილზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით

დადგენილი ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის ცვლილება. ნაკვეთებზე (B6/C5, C6, C8, C10, C12, F2) რომლებიც ყველა საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის ბალანსზე არსებულ 220 კვ. ეგზ „დიდუბე-3,4“-ის დაცვის ზოლში, არ იგეგმება რაიმე სახის მშენებლობა შესაბამის ორგანოსთან შეთანხმების გარეშე. წარმოდგენილ დოკუმენტაციას თან ერთვის ტრანსპორტის მოძრაობის ორგანიზების სქემა, რომელიც შეთანხმებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურთან და ქალაქ თბილისის საპატრულო პოლიციასთან.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს, ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონი, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.14.17.001.184, N01.14.17.001.185, N01.10.18.006.134, N01.10.18.006.133) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების საკითხი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

5. ქალაქ თბილისში, სოფელ დიდ ლილოში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.08.07.534) აეროსადგურის (შვეულმფრენების ცენტრი) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალების დამტკიცების თაობაზე (#12-031826310-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა გვანცა ნიკოლაიშვილმა. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, დიდ ლილოში (საკადასტრო კოდი: N81.08.07.534) და მოიცავს 33 840 კვ. მ-ს.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, ქალაქ თბილისში, სოფელ დიდ ლილოში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.08.07.534) ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3) და მცირედზე - ლანდშაფტურ - სარეკრეაციო ზონა (ლსზ).

N81.08.07.534 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი მდებარეობს ქალაქ თბილისის აღმოსავლეთ ნაწილში, სოფელ დიდი ლილოს სამხრეთ-აღმოსავლეთით 2.0-2.5კვ მანძილზე. იგი მოიცავს მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მაღალი ტერასული საფეხურის სწორი ზედაპირის ფრაგმენტს, რომელიც ამავდროულად მდინარე ორხევის შენაკადების მდინარე ხევადალას და ცოდვიანთ ხევის წყალგამყოფია. საპროექტო და მიმდებარე ტერიტორია გაუნაშენიანებელია, დაფარულია ბალახის საფარით და არ აღინიშნება მწვანე ნარგავები. სატრანსპორტო კავშირი ხორციელდება კახეთის გზატკეცილიდან, ერეკლე მეორეს ქუჩასა და ა.

ჯაფარიძის ქუჩების მეშვეობით. საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება თბილისის საერთაშორისო აეროპორტის დაბრკოლებებისგან შემზღვეველი კონუსური ზედაპირის გავრცელების შეზღვევა, რომელიც გულისხმობს მიწის დონიდან +15 მეტრიანი სიმაღლის შეზღვევას შენობა-ნაგებობებისათვის (საშუალო ზღვის დონიდან +729.5 მეტრს).

0118235681-67 განცხადებაზე წარმოდგენილი საპროექტო წინადადების შესაბამისად, იგეგმება აეროსადგურის, კერძოდ კი შვეულმფრენების ცენტრის განთავსება. ტერიტორიაზე ძირითადად განთავსდება 15 მეტრამდე სიმაღლის ერთი ან რამოდენიმე ინდივიდუალური - ბლოკირებული შენობა-ნაგებობა. მოეწყობა ასაფრენი ბილიკი და პარკინგი. გათვალისწინებულია შვეულმფრენების მომსახურება და სადგომი, მფრინავთა, ტექნიკოსთა და სტუდენტთა გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება, ტურისტული გადაყვანები, საჭიროების შემთხვევაში გადაუდებელი სამედიცინო და სამაშველო მომსახურება. საპროექტო წინადადება ითვალისწინებს მოქმედი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით დადგენილი ფუნქციური ზონების ცვლილებას. კერძოდ: არსებული სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3) და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ) იცვლება სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 2018 წლის 27 ივნისის N16-01181782341 წერილის შესაბამისად, მიწის ნაკვეთის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავების ეტაპზე წარმოდგენილ უნდა იქნას საპროექტო ტერიტორიის მოძრაობის ორგანიზების სქემა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2018 წლის 25 ივნისის N18-0118176515 წერილის მიხედვით, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-8 მუხლის 1² პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნებიდან, წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ მოიცავს დაგეგმილი გამწვანების პროექტის შესახებ ზოგად ინფორმაციას და ტერიტორიაზე არსებული ხე-მცენარეების (არსებობის შემთხვევაში) ხარისხობრივ შეფასებას (ტაქსაციას). ამასთანავე, შესაძლებელია გადასარგავი და საკომპენსაციოდ დასარგავი ხეები გათვალისწინებულ იქნეს გამწვანების ზოგად მონაცემებში, რომლის დეტალური პროექტიც უნდა დამუშავდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების ეტაპზე.

სამგორის მაჟორიტარი დეპუტატის და ამავედროულად კომისიის წევრის გიორგი ტყემალაძის თხოვნიდან გამომდინარე, მოსახლეობის ჩართვის მიზნით, საკითხი გადაიდო დამატებითი შესწავლის მიზნით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს „ქალაქ თბილისში, სოფელ დიდ ლილოში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: **N81.08.07.534**) აეროსადგურის (შვეულმფრენების ცენტრი) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალების პროექტის დამტკიცების საკითხი“ გამოთქმული შენიშვნით გატანილ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

6. ქალაქ თბილისში, გლდანი, I მ/რ, კარტოგრაფიული ფაბრიკის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი, ფორე მოსულიშვილის ქუჩა N 1 / ქალაქი თბილისი, გლდანი I მიკრო/რაიონი, კარტოგრაფიული ფაბრიკის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: **N01.11.12.015.174**) და ქალაქ თბილისში, ფორე მოსულიშვილის ქუჩა N1-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: **N01.11.12.015.130**) არსებულ მიწის ნაკვეთებზე, განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე (#12-031826312-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა გვანცა ნიკოლაიშვილმა. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მოიცავს ქალაქ თბილისში, გლდანი, I მ/რ, კარტოგრაფიული ფაბრიკის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი, ფორე მოსულიშვილის ქუჩა N 1 / ქალაქი თბილისი, გლდანი I მიკრო/რაიონი, კარტოგრაფიული ფაბრიკის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: N01.11.12.015.174) და ქალაქ თბილისში, ფორე მოსულიშვილის ქუჩა N1-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: N01.11.12.015.130) არსებულ მიწის ნაკვეთებს, რომელთა დაუზუსტებელი ჯამური ფართობია 8097 კვ. მ. აქედან, რეგისტრირებული ფართობია 7518 კვ. მ, ხოლო 579 კვ.მ დაურეგისტრირებელია.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, არსებულ მიწის ნაკვეთებზე, ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) და საზოგადოებრივ - საქმიანი ზონა 1 (სსზ-1). იმავე მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს პერიფერიულ ზონას (პზ) და გეგმარებით კარკასში (გკ).

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს დედაქალაქის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ურბანულ ცენტრში. მიმდებარე ტერიტორია დატვირთულია მრავალფუნქციური გამოყენების სახეობებით და წარმოადგენს მნიშვნელოვანი მიზიდულობის ცენტრს როგორც ქალაქისთვის, ისე უბნისთვის. ეს ერთის მხრივ, განპირობებულია ტერიტორიის მრავალფუნქციურობით, ხოლო, მეორეს მხრივ, ტერიტორიაზე მეტროს ბოლო სადგურის არსებობით. საპროექტო ტერიტორია დღევანდელი მდგომარეობით წარმოადგენს გლდანის ბაზრობას, რომელიც მდებარეობს მეტრო ახმეტელის

მოპირდაპირე მხარეს. საპროექტო ტერიტორიასთან კავშირი ხორციელდება ი.ვეკუას, და მ.ნოზაძის ქუჩებიდან, ძირითადად საფეხმავლო დამაკავშირებელი ბილიკებით, რომელიც საჭიროებს სარეაბილიტაციო სამუშაოებს. სატრანსპორტო წვდომა მოუწესრიგებელია და ხორციელდება ა.ბოჭორიშვილის ქუჩიდან. მიმდებარე განაშენიანება ქაოტურად არის განვითარებული. არსებული ბაზრის მდგომარეობა, არასახარბიელოა. არ არის დაცული სანიტარული ნორმები და დასაქმებულ პერსონალს მძიმე პირობებში უწევს მუშაობა.

N01181074-67 (N01182035-67) განცხადებაზე წარმოდგენილი საპროექტო წინადადების შესაბამისად, დაგეგმილია არსებული ბაზრის მოწესრიგება, ქაოტურად და თვითნებურად განვითარებული სავაჭრო დახლების ჩანაცვლება, სისტემურად დაგეგმარებული, დახლების ტიპის, თანამედროვე სავაჭრო პავილიონებით, რომლის მიხედვითაც, ტერიტორიაზე გადანაწილებული იქნება ფუნქციური დანიშნულებები, დაჯგუფდება მსგავსი ტიპის სავაჭრო ობიექტები. პროექტით ასევე, დაგეგმილია როგორც მსუბუქი კონსტრუქციის არაკაპიტალური, ისე კაპიტალური შენობა-ნაგებობების განთავსება სამეურნეო, სამაცივრე და ადმინისტრაციის სივრცეების მოსაწყობად. რაც შეეხება საავტომობილო გზებს, საპროექტო ტერიტორიაზე მოეწყობა დამოუკიდებელი საავტომობილო შესასვლელი, რომელიც დაუკავშირდება მომხმარებელთათვის მოწყობილ ავტოსადგომებს და სადისტრიბუციო მანქანებისთვის მოწყობილ სივრცეს. ტერიტორიაზე მოსაწყობი პარკინგების რაოდენობა დაზუსტდება მიწის ნაკვეთის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების სტადიაზე. საპროექტო წინადადება არ ითვალისწინებს არსებული ფუნქციური ზონის ცვლილებას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 2018 წლის 26 ივნისის N16-01181772981 წერილის მიხედვით, ვინაიდან, საპროექტო წინადადება არ ითვალისწინებს არსებული ტერიტორიის ფუნქციის (სავაჭრო ობიექტები/ბაზარი) ცვლილებას და გულისხმობს საპროექტო ტერიტორიის როგორც ქალაქგეგმარებითი, ასევე ფუნქციური თვალსაზრისით მოწესრიგებას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური N01181074-67 (N01182035-67) განცხადებაზე წარმოდგენილი საპროექტო წინადადების შესაბამისად დაგეგმილი ფუნქციისა და ინტენსივობის ობიექტის განთავსების წინააღმდეგი არ არის შემდგომში საპროექტო ტერიტორიის საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის წარმოდგენის პირობით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2018 წლის 24 მაისის N18-01181443290 წერილის მიხედვით, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-8 მუხლის 1² პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნებიდან, N01181074-67 (N01182035-67) განცხადებაზე

წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ მოიცავს გამწვანების პროექტის შესახებ ზოგად ინფორმაციას ტერიტორიაზე არსებული ხე-მცენარეების (არსებობის შემთხვევაში) ხარისხობრივ შეფასებას (ტაქსაციას). შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს საპროექტო წინადადების მიზანშეწონილობაზე. ამასთანავე, აღნიშნული წერილის მიხედვით, შესაძლებელია გადასარგავი და საკომპენსაციოდ დასარგავი ხეები გათვალისწინებულ იქნას გამწვანების ზოგად მონაცემებში, რომლის დეტალური პროექტი უნდა დამუშავდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების ეტაპზე.

ქალაქ თბილისში, გლდანი, I მ/რ, კარტოგრაფიული ფაბრიკის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი, ფორე მოსულიშვილის ქუჩა N 1 / ქალაქი თბილისი, გლდანი I მიკრო/რაიონი, კარტოგრაფიული ფაბრიკის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: N01.11.12.015.174) და ქალაქ თბილისში, ფორე მოსულიშვილის ქუჩა N1-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: N01.11.12.015.130) არსებული მიწის ნაკვეთები უზრუნველყოფილია ყველა სახის საინჟინრო ინფრასტრუქტურით. საპროექტო წინადადება არ ითვალისწინებს არსებული ტერიტორიის ფუნქციის (სავაჭრო ობიექტი/ბაზარი) ცვლილებას და გულისხმობს საპროექტო ტერიტორიის, როგორც ქალაქგეგმარებითი, ასევე ფუნქციური თვალსაზრისით მოწესრიგებას.

გლდანის მაჟორიტარი დეპუტატის ოთარ გრიგოლიას თხოვნიდან გამომდინარე, მიწის მესაკუთრეებთან კომუნიკაციის მიზნით, საკითხი გადაიდო დამატებითი შესწავლის მიზნით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს, „ქალაქ თბილისში, გლდანი, I მ/რ, კარტოგრაფიული ფაბრიკის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი, ფორე მოსულიშვილის ქუჩა 1/ ქალაქი თბილისი, გლდანი I მიკრო/რაიონი, კარტოგრაფიული ფაბრიკის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: N01.11.12.015.174) და ქალაქ თბილისში, ფორე მოსულიშვილის ქუჩა 1-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: 01.11.12.015.130) არსებულ მიწის ნაკვეთებზე, განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალების პროექტის დამტკიცების საკითხი გამოთქმული შენიშვნით გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

7. ქალაქ თბილისში, სოფელი თხინვალა, თელეების მიწა/ქალაქი თბილისი, თელეების მიწა/ქალაქი თბილისი, სოფელ თხინვალაში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N72.16.23.723, N72.16.23.724, N72.16.23.725, N72.16.15.615, N72.16.15.614, N72.16.23.711, N72.16.23.712, N72.16.23.713, N72.16.23.714) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალების დამტკიცების თაობაზე (#11-031826450-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა გვანცა ნიკოლაიშვილმა. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მოიცავს ქალაქ თბილისში, სოფელი თხინვალა, თელეების მიწა/ქალაქი თბილისი, თელეების მიწა/ქალაქი თბილისი, სოფელ თხინვალაში მდებარე მიწის ნაკვეთებს (საკადასტრო კოდები: N72.16.23.723, N72.16.23.724, N72.16.23.725, N72.16.15.615, N72.16.15.614, N72.16.23.711, N72.16.23.712, N72.16.23.713, N72.16.23.714), რომელთა ჯამური ფართობია 5300კვ.მ

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, ქალაქ თბილისში, სოფელი თხინვალა, თელეების მიწა/ქალაქი თბილისი, თელეების მიწა/ქალაქი თბილისი, სოფელ თხინვალაში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N72.16.23.723, N72.16.23.724, N72.16.23.725, N72.16.15.615, N72.16.15.614, N72.16.23.711, N72.16.23.712, N72.16.23.713, N72.16.23.714) ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1).

საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება ლისის ტბის განვითარების (ჩარჩო) გეგმა. მიმდებარე ტერიტორიაზე აქტიურად მიმდინარეობს მშენებლობა, განაშენიანების რეგულირების გეგმების და ჩარჩო გეგმის ფარგლებში. საპროექტო ტერიტორიამდე მისვლა ხდება ლ. კვაჭაძის ქუჩიდან ი.კეჭყაყაძის ქუჩის გავლით, ამჟამად გრუნტის გზით. ჩარჩო გეგმით გათვალისწინებულია ქუჩათა ქსელის მოწყობა, რომლის შესაბამისადაც, N01182133155-67 განცხადებაზე წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალების საპროექტო წინადადებაში ასახულია შესაბამისი ზონირებით საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება. საპროექტო ტერიტორიის გამიჯვნა იგეგმება 15 საკადასტრო ერთეულად. ასევე, სატრანსპორტო ქსელისთვის გამოყოფილია ცალკე საკადასტრო ერთეული.

N01182133155-67 განცხადებაზე წარმოდგენილი საპროექტო წინადადების შესაბამისად, ქალაქ თბილისში, სოფელი თხინვალა, თელეების მიწა/ქალაქი თბილისი, თელეების მიწა/ქალაქი თბილისი, სოფელ თხინვალაში მდებარე მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდები: N72.16.23.723, N72.16.23.724, N72.16.23.725, N72.16.15.615, N72.16.15.614, N72.16.23.711, N72.16.23.712, N72.16.23.713, N72.16.23.714) განვითარება იგეგმება ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ფუნქციით, ზონით დადგენილი მიწის ნაკვეთის განაშენიანებისა (კ-1) და მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის (კ-2) კოეფიციენტების შესაბამისად.

N72.16.23.723, N72.16.23.724, N72.16.23.725, N72.16.15.615, N72.16.15.614, N72.16.23.711, N72.16.23.712, N72.16.23.713, N72.16.23.714 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე არ ფიქსირდება მწვანე ხე-ნარგავები. საპროექტო წინადადების

შესაბამისად გათვალისწინებულია ქაოტურად რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების მოწესრიგება. ტერიტორია იმიჯნება 15 მიწის ნაკვეთად, აქედან 14 მიწის ნაკვეთზე განთავსდება ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები, ხოლო მე-15 ნაკვეთი მთლიანად დათმობილია ჩარჩო გეგმით გათვალისწინებული გზის გაფართოებისთვის. ასევე, დაცულია დადგენილი რეგულირების წითელი ხაზები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია N01182133155-67 განცხადების დაკმაყოფილება და ქალაქ თბილისში, სოფელი თხინვალა, თელეების მიწა/ქალაქი თბილისი, თელეების მიწა/ქალაქი თბილისი, სოფელ თხინვალაში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N72.16.23.723, N72.16.23.724, N72.16.23.725, N72.16.15.615, N72.16.15.614, N72.16.23.711, N72.16.23.712, N72.16.23.713, N72.16.23.714) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცება. *აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ქალაქ თბილისში, სოფელი თხინვალა, თელეების მიწა/ქალაქი თბილისი, თელეების მიწა/ქალაქი თბილისი, სოფელ თხინვალაში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N72.16.23.723, N72.16.23.724, N72.16.23.725, N72.16.15.615, N72.16.15.614, N72.16.23.711, N72.16.23.712, N72.16.23.713, N72.16.23.714) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.*

8. „ქ. თბილისი, სოფელი აგარაკის დასავლეთით არსებულ მიწის ნაკვეთებზე: (საკადასტრო კოდები 72.16.09.770, 72.16.09.319, 72.16.09.320, 72.16.09.771, 72.16.09.856, 72.16.09.855, 72.16.09.854, 72.16.09.788, 72.16.09.853; ფართობი 8250 კვ.მ.) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე (#12-031816250-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა გვანცა ნიკოლაიშვილმა. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს სოფელი აგარაკის დასავლეთით არსებულ მიწის ნაკვეთებზე: (საკადასტრო კოდები 72.16.09.770, 72.16.09.319, 72.16.09.320, 72.16.09.771, 72.16.09.856, 72.16.09.855, 72.16.09.854, 72.16.09.788, 72.16.09.853). გრგ არეალის საერთო ფართობია 8250 კვ.მ. საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში, ასევე შედის 724 კვ.მ 8 მ. სიგანის დაურეგისტრირებელი ტერიტორია, რომლის გამოყენებაც იგეგმება გზის მოწყობის მიზნით.

საკითხის პირველადი განხილვისას საჯარო რეესტრის ამონაწერით აღნიშნული მიწის ნაკვეთის მისამართად განსაზღვრული იყო ქ. მცხეთა და კომისიის რეკომენდაციით განხორციელდა საჯარო რეესტრის ამონაწერების განახლება, დაზუსტდა საპროექტო ტერიტორიის მისამართი.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებით დამტკიცებული გენერალური გეგმის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3).

მოცემულ შემთხვევაში, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს სოფ. აგარაკის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს, რომლის მომიჯნავე ტერიტორიები ნაწილობრივ განაშენიანებულია. საინჟინრო კომუნიკაციებიდან მიმდებარე ტერიტორიებზე ფიქსირდება წყალმომარაგების ქსელი, ელექტრომომარაგების ხაზები და ბუნებრივი აირის მილი. ამასთან, საპროექტო ტერიტორიამდე სატრანსპორტო კავშირი ხორციელდება ბ. ჟღენტის ქუჩის, ავთო ვარაზისა და აგარაკის ქუჩების გავლით, გრუნტის გზით მეშვეობით; აღსანიშნავია, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში, ასევე, შედის 724 კვ.მ 8 მ. სიგანის დაურეგისტრირებელი ტერიტორია, რომლის გამოყენებაც იგეგმება გზის მოწყობის მიზნით. ტერიტორიამდე მისასვლელი გრუნტის გზის გადაღმა ფიქსირდება სეზონური, მცირე მდინარე. არსებული მონაცემებით გრგ არეალში ხე-ნარგავები არ ფიქსირდება. გასათვალისწინებელია რომ, მოცემული ტერიტორიის განვითარება ხდება სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების ფუნქციით, რაც სარეკრეაციო ზონა 3- (რზ3) წარმოადგენს ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საგამონაკლისო დასაშვებ სახეობას. საპროექტო წინადადებით იგეგმება სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განთავსება, ხოლო ფუნქციური ზონის ცვლილება (სარეკრეაციო ზონა 3 იცვლება სატრანსპორტო ზონა 1-ით) გათვალისწინებულია მხოლოდ გზის მოწყობის მიზნით. ასევე, გათვალისწინებულია დამატებითი სატრანსპორტო კავშირის მოწყობა ორ არსებულ გრუნტის გზას შორის.

ტერიტორიის რაციონალური, ასევე ჯეროვანი განვითარებისა და ორგანიზების უზრუნველყოფის მიზნით საჭიროა გათვალისწინებულ იქნას შემდეგი რეკომენდაციები: საპროექტო ტერიტორია განვითარდეს სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3)-ის განაშენიანების რეგულირების პარამეტრებითა და ფუნქციით. საპროექტო ტერიტორიაზე განაშენიანების მაქსიმალურ სიმაღლედ განისაზღვროს 9 მეტრი, ხოლო სართულიანობა - ორი სრული და ერთი არასრული სართულით. სარეკრეაციო ზონა 3-ის ცვლილება დასაშვებია მხოლოდ სატრანსპორტო ზონა 1-ით, გზის მოწყობის მიზნით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია (ოქმი №28 25.09.2018წ) მიზანშეწონილად მიიჩნევს „ქ. თბილისი, სოფელი აგარაკის დასავლეთით არსებულ მიწის ნაკვეთებზე: (საკადასტრო კოდები 72.16.09.770, 72.16.09.319, 72.16.09.320, 72.16.09.771, 72.16.09.856, 72.16.09.855, 72.16.09.854, 72.16.09.788, 72.16.09.853; ფართობი 8250 კვ.მ.) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

9. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ნუცუბიძის ქუჩასა და ინტენსიფიკაციის გზას შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე (სკადასტრო კოდი: №01.14.15.001.189) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (#04/729)

საკითხი წარმოადგინა კომისიის თავმჯდომარემ რევაზ სოხაძემ. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ა/წლის 15 მაისს #19/031813558-03 განცხადებით მომართა მოქალაქე სანდრო ცხადაძემ და მოითხოვა ა/წლის 2017 წლის 17 იანვრის #04/729 წერილით გადმოგაზავნილი - „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ნუცუბიძის ქუჩასა და ინტენსიფიკაციის გზას შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე (სკადასტრო კოდი: №01.14.15.001.189) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებულ პროექტზე“ უარის თქმა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს, ა/წლის 2017 წლის 17 იანვრის #04/729 წერილით თბილისის მუნიციპალიტეტის მერიიდან გადმოგაზავნილი - „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ნუცუბიძის ქუჩასა და ინტენსიფიკაციის გზას შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე (სკადასტრო კოდი: №01.14.15.001.189) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტს“ ეთქვას უარი და შესაბამისი რეკომენდაციით გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

10. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-58 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით (#12-031825384-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსმა გიორგი ბაგრატიონმა. მისი თქმით, პროექტის მიღება განპირობებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულის სახელწოდების ცვლილებით, კერძოდ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის სახელწოდება იცვლება - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციით.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ დადგენილების პროექტს მიეცეს დადებითი შეფასება და გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

11. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით (#12-031825384-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსმა გიორგი ბაგრატიონმა. მისი თქმით, პროექტის მიღება განპირობებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულის სახელწოდების ცვლილებით, კერძოდ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის სახელწოდება იცვლება - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციით.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ დადგენილების პროექტს მიეცეს დადებითი შეფასება და გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

12. „მშენებლობის (განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის გარდა) სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლუატაციაში მიღების) თაობაზე აქტის გამოცემის (მასში ცვლილების შეტანის) დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებლის გადახდის წესის და ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით (#12-031825384-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსმა გიორგი ბაგრატიონმა. მისი თქმით, პროექტის მიღება განპირობებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულის სახელწოდების ცვლილებით, კერძოდ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის სახელწოდება იცვლება - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციით. პროექტის თანახმად ძალადაკარგულად ცხადდება „მშენებლობის (განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის გარდა) სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლუატაციაში მიღების) თაობაზე აქტის გამოცემის (მასში ცვლილების შეტანის) დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებლის გადახდის წესის და ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-94 დადგენილება.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ დადგენილების პროექტს მიეცეს დადებითი შეფასება და გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

13. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინჰექციაში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით (#12-031825384-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსმა გიორგი ბაგრატიონმა. მისი თქმით, პროექტის მიღება განპირობებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულის სახელწოდების ცვლილებით, კერძოდ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის სახელწოდება იცვლება - ქალაქთბილისისმუნიციპალიტეტისმერიისმუნიციპალურიინსპექციით.

წარმოდგენილი პროექტით ერთიანდება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინჰექციაში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 დეკემბრის N20-95 და „ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე-35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 39-ე მუხლით, 43-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 46-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 დეკემბრის N13-38 დადგენილებებით განსაზღვრული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი და ძალადაკარგულად ცხადდება მითითებული დადგენილებები.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესული ცვლილებების საფუძველზე (ვებგვერდი www.matsne.gov.ge ,გამოქვეყნების თარიღი 20/04/2018, სარეგისტრაციო კოდი: 020000000.05.001.018823), კოდექსს დაემატა 82⁵ მუხლი (პლასტიკისა ან/და ბიოდეგრადირებადი პარკების საქართველოს ტერიტორიაზე იმპორტისას, წარმოებისას ან/და რეალიზაციისას ტექნიკური რეგლამენტის - „პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების რეგულირების წესის“ მოთხოვნების დარღვევა). ამავე კოდექსის 239-ე მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად, 82⁵ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების რეალიზაციის ნაწილში) შესახებ ოქმების შედგენის უფლებამოსილება მიენიჭა შესაბამისი მუნიციპალიტეტის ორგანოს მიერ უფლებამოსილ პირებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს აგრეთვე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ინსპექციისათვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 82⁵ მუხლის

დელეგირებას, საჯარიმო სანქციის გატარების მიზნით, პლასტიკის ან/და ბიოდეგრადირებადი პარკების რეალიზაციის ნაწილში ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დარღვევის გამო.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ დადგენილების პროექტს მიეცეს დადებითი შეფასება და გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

14. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით (#12-031825384-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსმა გიორგი ბაგრატიონმა. მისი თქმით, პროექტის მიღება განპირობებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულის სახელწოდების ცვლილებით, კერძოდ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის სახელწოდება იცვლება - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-96 დადგენილებით დამტკიცებულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმები და წარმოდგენილი პროექტით ძალადაკარგულად ცხადდება აღნიშნული დადგენილება.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმის წარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-96 დადგენილებით დამტკიცებული შემოწმების აქტის (დანართი N7) ფორმაში დაშვებულია ხარვეზი, კერძოდ, არ არის მითითებული საქართველოს კანონი „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 25-ე მუხლის 23-ე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი - „საეტაპო ოქმის დადგენილი წესით წარუდგენლობისას“. წარმოდგენილი პროექტით აღნიშნული ხარვეზი გამოსწორდება და შემოწმების აქტის დასამტკიცებელ ფორმაში აღნიშნული პუნქტი იქნება გათვალისწინებული.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-96 დადგენილებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურზე დელეგირებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის (შემდგომში - კოდექსი) 151-ე მუხლისპირველი და მე-2 ნაწილებითა (მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მწვანე ნარგავების დაზიანება ან/და თვითნებური განადგურება) და 152-ე მუხლით (ტერიტორიის დაზიანება სამშენებლო სარემონტო სამუშაოების წარმოებისას) გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე სამართალდარღვევის ოქმის შედგენის უფლებამოსილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-95 დადგენილებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურზე დელეგირებულია კოდექსის 151¹ (ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაზიანება, თვითნებური გაჩეხვა ან/და გადატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-აღდგენის წესების დარღვევა) და 152³ (ქ. თბილისის ტერიტორიის დაზიანება სამშენებლო ან სარემონტო სამუშაოების წარმოებისას) მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე სამართალდარღვევის ოქმის შედგენის უფლებამოსილება.

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს კოდექსის 151-ე და 152-ე მუხლების ამოღებას, ვინაიდან თბილისის მუნიციპალიტეტისათვის მოქმედებს ამავე კოდექსის 151¹-ე და 152³-ე მუხლები და რომლებიც სამსახურზე უკვე დელეგირებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 დეკემბრის N20-95 დადგენილებით.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ დადგენილების პროექტს მიეცეს დადებითი შეფასება და გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

15. „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 25¹ მუხლით გათვალისწინებული მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების მოსაკრებლის შემოღების, მოსაკრებლის გადახდის წესის და ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით (#12-031825384-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსმა გიორგი ბაგრატიონმა. მისი თქმით, პროექტის მიღება განპირობებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულის სახელწოდების ცვლილებით, კერძოდ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის სახელწოდება იცვლება - ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-97 დადგენილებით დამტკიცებულია პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 25¹ მუხლით გათვალისწინებული მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების მოსაკრებლის შემოღების, მოსაკრებლის გადახდისა და ოდენობის განსაზღვრის წესი დაწარმოდგენილი პროექტით ძალადაკარგულად ცხადდება აღნიშნული დადგენილება.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ დადგენილების პროექტს მიეცეს დადებითი შეფასება და გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

16. „გარე რეკლამის განთავსების ნებართვით გათვალისწინებული ნაგებობების განთავსება/ მშენებლობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით (#12-031825384-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსმა გიორგი ბაგრატიონმა. მისი თქმით, პროექტის მიღება განპირობებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულის სახელწოდების ცვლილებით, კერძოდ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის სახელწოდება იცვლება - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციით. პროექტის თანახმად, ძალადაკარგულად ცხადდება „გარე რეკლამის განთავსების ნებართვით გათვალისწინებული ნაგებობების განთავსება/ მშენებლობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის №16-34 დადგენილება.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ დადგენილების პროექტს მიეცეს დადებითი შეფასება და გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

17. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უნებართვო გარე ვაჭრობის ფაქტების აღკვეთისას სამართალდარღვევის საგნის (საქონლის) კონფისკაციის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2017 წლის 8 მაისის N9-38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**“ ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით (#12-031825384-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსმა გიორგი ბაგრატიონმა. მისი თქმით, პროექტის მიღება განპირობებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულის სახელწოდების ცვლილებით, კერძოდ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის სახელწოდება იცვლება -ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციით.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ დადგენილების პროექტს მიეცეს დადებითი შეფასება და გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.


18. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით (12-031825384-03; 12-031826440-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსმა გიორგი ბაგრატიონმა. მისი თქმით, პროექტის მიღება განპირობებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულის სახელწოდების ცვლილებით, კერძოდ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის სახელწოდება იცვლება -ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციით.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ დადგენილების პროექტს მიეცეს დადებითი შეფასება და გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ რევაზ სოხაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე



რევაზ სოხაძე